

შპს “გასგო მოტორსი”

საიდენტიფიკაციო კოდი: 438 107 237

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	5	342,693	896,786
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	991,966	3,552,303
მარაგები	7	14,534,758	8,994,977
სულ მოკლევადიანი აქტივები		15,869,417	13,444,066
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	5,760,770	5,194,154
არამატერიალური აქტივები	8	150,775	166,827
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,911,545	5,360,981
მთლიანი აქტივები		21,780,962	18,805,047
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,497,292	1,419,330
საგადასახადო ვალდებულებები	-	90,689	179,020
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	10	1,407,036	1,890,519
		3,995,017	3,488,869
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	-	466,507
		-	466,507
მთლიანი ვალდებულებები		3,995,017	3,955,376
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	-	195	195
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-	17,785,750	14,849,476
		17,785,945	14,849,671
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		21,780,962	18,805,047

ხელმოწერილი და ნებადართულია გამოსაცემად კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 30 ნოემბერს.


Stamp & Sgin



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	11	19,057,691	15,809,758
შემოსავალი მომსახურებიდან	-	413,338	317,126
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	11	(13,010,647)	(10,164,173)
მომსახურების თვითღირებულება	12	(334,595)	(262,523)
საერთო მოგება		6,125,787	5,700,188
მიწოდების დანახარჯები	-	(232,296)	(205,710)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13	(2,179,588)	(1,704,025)
სხვა შემოსულობები/ (ზარალი) - წმინდა	-	97,434	38,357
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან	-	(129,206)	(170,182)
საოპერაციო მოგება		3,682,131	3,658,628
ფინანსური შემოსავალი	14	44,619	389,188
ფინანსური ხარჯი	14	(108,696)	(352,647)
მოგება დაბეგვრამდე		3,618,054	3,695,169
მოგების გადასახადი		(2,832)	(2,667)
პერიოდის მოგება		3,615,222	3,692,502

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ლარში)	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2022	195	11,225,015	11,225,210
პერიოდის მოგება	-	3,692,502	3,692,502
გაცემული დივიდენდი	-	(68,041)	(68,041)
ნაშთი 31.12.2023	195	14,849,476	14,849,671
პერიოდის მოგება	-	3,615,221	3,615,221
გაცემული დივიდენდი	-	(678,947)	(678,947)
ნაშთი 31.12.2023	195	17,785,750	17,785,945

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2024	2023
მოგება დაბეგრამდე	3,618,054	3,695,169
<i>დასაბეგრი მოგების კორექტირება წმინდა ფულად ნაკადებამდე</i>		
მირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა	203,209	389,188
წმინდა შედეგი საკურსო სხვაობიდან	90,689	(316,327)
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	109,076	352,647
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	4,021,028	4,120,677
<i>საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები</i>		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, მათ შორის გადახდილი ავანსების ცვლილება	422,090	(315,388)
მარაგების ცვლილება	(5,539,781)	(909,096)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი, მათ შორის საგადასახადო ვალდებულებების ცვლილება	898,941	(29,853)
სულ ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში	(197,722)	2,866,340
გადახდილი საპროცენტო ხარჯები	(109,076)	(352,647)
საპროცენტო შემოსავლები	(44,619)	(389,188)
მიღებული პროცენტი	44,619	229,488
გადახდილი მოგების გადასახადი	(2,832)	(2,667)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(309,630)	2,351,326
მირითადი საშუალებების/არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(753,773)	(1,285,442)
სულ ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობისთვის	(753,773)	(1,285,442)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
დივიდენდებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(678,947)	(68,041)
საწესდებო კაპიტალის შემცირება	-	-
სასესხო ვალდებულებების ცვლილებები	(949,990)	722,022
გაცემული სესხის წმინდა ცვლილება	2,138,248	(884,690)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	509,311	(230,709)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ზრდა	(554,093)	835,175
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	896,786	61,611
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	342,693	896,786

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად შპს გასგო მოტორსისთვის (შემდგომში „კომპანია“) 2025 წლის 30 ნოემბრისთვის.

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით. მის დამატებითი საქმიანობაა: ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი. საქართველოს მასშტაბით კომპანია ფლობს ერთ სასაწყობო ობიექტს და ორ ცალკე მდგომ სავაჭრო ობიექტს.

კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად 2010 წლის 03 დეკემბერს და მდებარეობს საქართველოში.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საგარეჯოს რაიონი, სოფ. ყანდაურა, ხოლო მისი ფაქტობრივი მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფ. მარტყოფი. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი: 438 107 237.

2024 წლის 31 დეკემბრის (2023 წლის 31 დეკემბრის) მდგომარეობით კომპანიას ჰყავს ერთპიროვნული დამფუძნებელი (100 %-ნი წილის მფლობელი) ზურაბი სამბელაშვილი (პ/ნ 36001047985).

კომპანიის დირექტორები არიან კახა სამბელაშვილი და ზურაბი სამბელაშვილი.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია „საქართველოს“ ქვეყნის ფულად ერთეულში ლარში (GEL).

ფინანსური წელი. კომპანიის ფინანსური წელი, და, შესაბამისად, ანგარიშგების პერიოდი არის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში და ინტერპრეტაციებში. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული

გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

კომპანია ბიზნეს საქმიანობას აწარმოებს ადგილობრივ ბაზარზე, ასევე აქვს ექსპორტიც. კომპანიის ძირითად მსხვილ კლიენტებს წარმოადგენენ სხვადასხვა საცალო და საბითუმო ვაჭრობის ობიექტები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომ „მსს ფასს სტანდარტი“) შესაბამისად.

მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომელთა მიმართ შედარებით მაღალი დონის განსჯის გამოყენებაა საჭირო, რთულია და მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოითხოვს, გამჟღავნებულია მე-4 შენიშვნაში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების კონვენციის მიხედვით და მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი აღიარებით, რომელიც ეფუძნება რეალურ ღირებულებას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ქვემოთ.

უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი (GEL).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები, კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საქართველოს ეროვნული ბანკის ('სებ'-ის) მიერ დადგენილი კურსით. შემოსულობები და ზარალი უცხოური ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივების და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშებიდან, აღირიცხება მოცემული წლის მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც, "მოგება / (ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან".

სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები, რომლითაც მოხდა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშება, იყო:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ევრო	2.9306	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და მიმდინარე ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება. შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა მისაღები თანხის მიღებას დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. თუ არსებობს ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურების ზარალი წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

გაცემული სესხი. გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით.

დარიცხული მისაღები შემოსავალი (WIP). WIP წარმოადგენს კონკრეტული სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში მიმდინარე საკონტრაქტო მომსახურებებზე დარიცხულ შემოსავალს, რომელიც გამომუშავებულია კომპანიის მიერ შესაბამისი გარიგების პერიოდიდან გამომდინარე. WIP-ის აღიარება ხდება მისი შეფასებული სარეალიზაციო ღირებულებით სამუშაოს შესრულების სტადიის პროპორციულად და ხდება მისი მოთხოვნად კლასიფიცირება.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწვევითანავე აისახება ხარჯებში.

ცვეთა. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	13-დან 51 წლამდე
მანქანა-დანადგარები	5-დან 12 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	3-დან 8 წლამდე
სატრანსპორტო-საშუალებები	5-დან 10 წლამდე

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით.

აქტივის ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების „სხვა შემოსულობები / (ზარალი) - წმინდა“.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალურ აქტივებს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა გააჩნია, და, ძირითადად, წარმოდგენილია კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფით. შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა (ლიცენზიებიც) კაპიტალიზდება, მათი გამოყენების დაწყებისათვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია 10 წლით.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენებით ღირებულებას შორის უდიდესი.

გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელ დონეზეც ხდება დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოსვლა (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუსაფურების გადახედვა მასში შესაძლო კორექტირების გამოვლენის მიზნით.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება მარაგების გაუფასურება, რისთვისაც მარაგების თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ მარაგების ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში-პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

მარაგები. მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი ნამეტი ან ზარალი აისახება „მოგება/ (ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან“ მუხლში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის

სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით. კომპანიას ასეთი სახის ვალდებულებები არ გააჩნია.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ ხარჯებში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლის მიერ. კომპანიის საწესდებო კაპიტალში ცვლილების შეტანა შეიძლება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დივიდენდები. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და გამოიქვითება გაუნაწილებელი მოგებიდან იმ პერიოდში, როდესაც მოხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდის სახით ან არ ჩაითვლება განაწილებულად.

ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა 'აგროსილ' ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები 'აიგროსება' შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0,85-ზე).

დივიდენდის განაწილებიდან წარმოქნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. პირობითი საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით იბეგრება ის ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან-აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

შელავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ოპერაციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში „გადასახადები გარდა მოგების გასახადისა“ საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. დამატებითი ღირებულების გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება : ა) დებიტორული დავალიანების ამოღება კლიენტებისგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისთვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე. გადასახდელი დღე, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების შეძენასთან გადაიდება 5-10 წლით იმ საწარმოებისთვის, რომელთაც 20% ან მეტი აქვთ დღე-ის გან გათავისუფლებული ბრუნვა.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება N 407, რის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელის ვალდებულებები ყველა გადასახადისთვის (მოგების გადასახდის ჩათვლით) და გადასახადების ყველა გადახდა აღირიცხება საგადასახადო ანგარიშზე. ამის შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარდგენილია წმინდა საფუძველზე. მოგების გადასახადის და ვალდებულებების შედეგობრივი ნაშთები ანგარიშში შეტანილია, როგორც „საგადასახადო ვალდებულებები“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება, როდესაც შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება, აგრეთვე მოსალოდნელია, რომ კომპანია სამომავლოდ მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის და მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისთვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, დაბრუნების და დღე-ს გარეშე.

მომუშავეთა გასამრჯელოები (დასაქმებულთა ანაზღაურება). კომპანიის თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი

სარგებელი, საპენსიო შენატანები დაირიცხება თანამშრომლების მიერ დაკავშირებული მომსახურების გაწევის წელს.

საოპერაციო იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ცვლილებები ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის, საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ინფორმაციის გამოსაცემად დამტკიცება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში. პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს, რომლებიც მოცემულ ვითარებაში რეალისტურად მიიჩნევა. გარდა პროგნოზებისა, ხელმძღვანელობა აკეთებს აგრეთვე შეფასებებს. ქვემოთ განხილულია ის შეფასებები და პროგნოზები, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა მაგალითად ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და მორალური ცვეთა, ხშირად იწვევენ აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას.

ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ კომპანიისთვის. გათვალისწინებული იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და მოვლა-შენახვაზე და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება, ან მორალური ცვეთა.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორს აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია ჯგუფის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. კომპანიას აქვს უიმედო სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარესთან.

კომპანია დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებული ოპერაციების დროს ხელმძღვანელობს „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით (საწარმოს უწყვეტობა), რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ შეფასების გაკეთებისას ხელმძღვანელობამ იხელმძღვანელა კომპანიის ფინანსური მდგომარეობით, ოპერაციების შედეგებით, არსებული განზრახვებითა და მომავალი ოპერაციების ანალიზით.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	11	136
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	342,683	896,650
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
საერთო ჯამში:	342,693	896,786

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	44,314	51,626
სავაჭრო მოთხოვნები (არარეზიდენტი)	123,580	92,929
გამოქვითული საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(3,494)	(41,491)
გადახდილი ავანსები	827,566	868,904
მისაღები პროცენტები	-	442,087
გაცემული სესხი *	-	2,138,248
სულ	991,966	3,552,303

გაუფასურებული სავაჭრო მოთხოვნებიდან ამობრუნებულია 37,997 ლარი.

* ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიამ გაცემული სესხი 2,138,248 ლარი სრულად დაფარა.

7. მარაგები, როგორც მზა პროდუქცია

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სასაქონლო მარაგები	14,325,031	8,887,106
საქონელი გზაში ინვოტერმსის პირობით	108,267	-
სათადარიგო ნაწილები	85,092	58,227
საწვავი	4,629	6,232
სხვა მარაგები	11,739	43,412
სულ	14,534,758	8,994,977

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 13,010,647 ლარი (2023 წელს 10,164,173 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2023 წელს 0 ლარი).

8. ძირითადი საშუალებები

თანხები დამრგველებულია '000 ლარში.

	მიწა	შენიშვნები/დ აუმთავრებ ელი მშ.	ოფისის აღჭუ-ბა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	სულ
2022 წლის 31 დეკემბერი	985	2,147	207	87	358	3,784
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	499	693	426	1	246	1,865
ჩამოწერა	-	-	(1)	-	(57)	(58)
დაგროვილი ცვეთა	-	-	(5)	(1)	(19)	(25)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,484	2,840	627	87	528	5,566
შესყიდვები/კაპიტალიზაცია	-	674	84	50	44	852
ჩამოწერა	-	(70)	(48)	(71)	(40)	(229)
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-
2024 წლის 31 დეკემბერი	1,484	3,444	663	66	532	6,189

ცვეთა და გაუფასურება						
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(42)	(114)	(40)	(87)	(283)
ცვეთის ხარჯი	-	(12)	(42)	(10)	(50)	(114)
დაგროვილი ცვეთა	-	-	5	1	19	25
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(54)	(151)	(49)	(118)	(372)
ცვეთის ხარჯი	-	(14)	(68)	(13)	(61)	(157)
დაგროვილი ცვეთა	-	6	32	42	21	100
2024 წლის 31 დეკემბერი	-	(62)	(187)	(20)	(158)	(427)
2023 წლის 31 დეკემბერი	1,484	2,786	476	38	410	5,194
2024 წლის 31 დეკემბერი	1,484	3,382	476	46	373	5,761

* ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე მოხდა კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ბინის) რეალიზაცია, რომლის საბალანსო მდგომარეობა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 65 570 ლარს.

კომპანიის საკუთრებაში არსებულ არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა Microsoft Dynamics Nav-ს ლიცენზიები, რომელიც პერიოდულად მოითხოვს განახლებას და კაპიტალიზდება არამატერიალური აქტივის ღირებულებაზე.

კომპანიამ 2024 წლის 24 ივნისს ექსპლუატაციაში მიიღო საკუთარი ძალებით აშენებული შენობა-ნაგებობა.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი	1,806,353	766,141
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი	673,385	642,710
სხვა ვალდებულებები	66	10,479
მოკლევადიანი ვალდებულება საიჯარო მომსახურებიდან	17,488	-
სულ	2,497,292	1,419,330

10. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი

<i>მოკლევადიანი სესხები</i>	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოკლევადიანი სესხები	486,871	1,729,155
სხვა ნასესხები სახსრები არასაბანკო	894,517	161,364
გადასახდელი პროცენტი	25,648	-
სულ მოკლევადიანი სესხები	1,407,036	1,890,519

<i>გრძელვადიანი სესხები</i>	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი სესხები	-	466,507
სულ გრძელვადიანი სესხები	-	466,507

სულ სესხები	1,407,036	2,357,026
--------------------	------------------	------------------

კომპანიის გრძელვადიან სესხებს წარმოადგენს ბანკებისგან მიღებული სესხები, რომლებიც დენომინირებულია დოლარში და ლარში. საპროცენტო განაკვეთი დოლარში დენომინირებულ სესხებზე შეადგენს წლიურ 8.1%-ს (წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 10.60%), ხოლო ლარში დენომინირებულ სესხებზე წლიურ 12%-ს. სესხების დაფარვის ვადა მერყეობს 2026 წლის აპრილამდე. სესხის უზრუნველყოფა: სოლიდალური თავდებობა.

სესხის მიზნობრიობა საბრუნავი საშუალებები.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიამ მიმდინარე სასესხო ვალდებულებებიდან დაფარა 1,292,995 ლარი.

11. ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	18,830,034	15,625,397
შემოსავალი რეალიზაციიდან დღგ-ს ჩათვლის უფლებით/ექსპორტი	227,657	184,361
სულ	19,057,691	15,809,758

12. მომსახურების თვითღირებულება

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2023
პირდაპირი ხელფასი	(325,725)	(255,323)
მომსახურებისთვის გახარჯული მასალები	(2,270)	-
საიჯარო ხარჯი	(6,600)	(7,200)
სულ მომსახურების თვითღირებულება	(334,595)	(262,523)

13. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,352,342)	(918,469)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(203,209)	(157,267)
ქონების გადასახადის ხარჯი	(43,180)	(35,230)
მივლინების ხარჯი	(17,475)	(16,729)
საბანკო ხარჯი	(49,853)	(28,687)
დაზღვევის ხარჯი	(28,200)	(21,544)
კომუნიკაციის ხარჯი	(38,275)	(27,043)
იჯარის ხარჯი	(34,736)	(33,603)
გადახდის წყაროსთან დასაბეგრი მომსახურებები	(186,248)	(137,390)
ა/მ მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	(128,347)	(152,581)
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯები	-	(42,979)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი (NAV_2017)	(13,918)	(26,772)
Qlik დანერგვის სამუშაოები- გაყიდვების სტანდარტული	(11,400)	(10,787)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(1,450)	(2,439)
საკონსულტაციო/იურიდიული მომსახურების ხარჯი	(7,098)	-
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(63,857)	(92,505)
სულ	(2,179,588)	(1,704,025)

14. ფინანსური ხარჯი და შემოსავალი

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საპროცენტო შემოსავალი	44,419	389,188
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(108,696)	(352,647)
სულ ფინანსური დანახარჯები	(108,696)	(352,647)

15. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2024 წლის 31 დეკემბრის (2023 წლის 31 დეკემბრის) მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციების შედეგები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია შემდეგნაირად:

31 დეკემბერი 2023

	ხარჯი/შემოსავალი	ნაშთი
მოკლევადიანი სარგებელი:		
ხელფასები და ბენეფიტები	99,288	-
მიღებული სესხი	455,680	161,364
საპროცენტო ხარჯი	266,854	-
გაცემული სესხი იურიდიულ პირზე	884,690	2,138,248
მისაღები პროცენტები	124,687	427,036

31 დეკემბერი 2024

	ხარჯი/შემოსავალი	ნაშთი
მოკლევადიანი სარგებელი:		
ხელფასები და ბენეფიტები	221,247	-
მიღებული სესხი	1,446,879	894,517
საპროცენტო ხარჯი	69,480	-

გაცემული სესხი. 2023-2024 წელს კომპანიამ სხვა დაკავშირებულ მხარესთან დადო საკრედიტო ხელშეკრულებები. სესხის გაცემა ხდება მხარეების შეთანხმებით მოთხოვნის საფუძველზე. წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად.

პროცენტის გადახდა ხორციელდება სესხის პერიოდის ბოლოს (სასესხო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად). ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელს და მსესხებელს შეუძლიათ მოითხოვონ სესხის (სრული ან ნაწილობრივი) თანხის დაბრუნება, რის შესახებაც მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს 10 დღით ადრე.

მენეჯმენტის ანაზღაურება და ბენეფიტები. მენეჯმენტის (კომპანიის მართვაზე პასუხისმგებელი პირები, მომსახურების მიმართულებების ხელმძღვანელი პირები და ფინანსური დირექტორი) ანაზღაურებამ, რომელიც მოიცავს ხელფასს, ბონუსს და სხვა მოკლევადიან სარგებელს, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 221,247 ლარს (2023 წ., -99,288 ლარი).

17. ბალანსის თარიღის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 2025 წლის 30 ნოემბერს ხელმძღვანელობის მიერ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი.

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამატებით აიღო და აითვისა 574,646 ლარის სესხები. ამასთან იგი განაგრძობდა არსებული სესხების დაფარვას გრაფიკის მიხედვით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სესხები დენომინირებული იყო დოლარში და ლარში, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო კომპანიას არ მიუღია მნიშვნელოვანი არარეალიზებული ზარალი საკუროსო სხვაობის გამო.